საქართველო

სანოტარო აქტი

ორიათას ოცდაორი წლის წლის ოცდაექვს ოქტომბერს, მე, ნოტარიუს ლალი გზირიშვილს სანოტარო ბიუროში, მისამართზე: ქ. თბილისი, პეკინის გამზ. 23, ბ. 47, მომმართა ზურაბ საბანაძემ, რომელმაც განაცხადა, რომ იგი არის შპს „პრემიუმ ქონსთრაქშენ დეველოპმენტ“-ის (ს/კ405505608) დირექტორი და მისთვის როგორც შპს „პრემიუმ ქონსთრაქშენ დეველოპმენტ“-ის (ს/კ405505608) დირექტორისათვის არ არსებობს წინამდებარე მინდობილობის გაცემის ხელისშემშლელი არანაირი გარემოება და მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დდამადასტურებელი მოწმობით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ზურაბ საბანაძემ (დაბადებული 01.10.1990წ.თბილიში, რეგ. ქალაქი თბილისი, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, III მიკრო/რაიონი, კვარტალი III, კორპუსი 10, ბინა 7.პირადი #01008045612, პირადობის მოწმობა 13IJ16116 გაცემული იუსტიციის სამინისტროს მიერ 05.05.2015წ. მოქმედების ვადა 05.05.2025წ.) მომმართა. შემდეგ შევამოწმე მისი უფლებამოსილება და დავრწმუნდი, რომ იგი უფლებამოსილია იმოქმედოს როგორც შპს „პრემიუმ ქონსთრაქშენ დეველოპმენტ“-ის (ს/კ405505608) დირექტორმა, თანახმად შპს „პრემიუმ ქონსთრაქშენ დეველოპმენტ“-ის (ს/კ405505608) შეთანხმებისა (დამოწმებული 29/10/2018წ. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ) და შპს „პრემიუმ ქონსთრაქშენ დეველოპმენტ“-ის (ს/კ405505608) რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 02/02/2022წ. იურიდიული მისამართი: ბილისი, ვაკის რაიონი, შ. ნუცუბიძის

ფერდობი, III მ/რ, III კვარტ., კორპ. 10, ბინა 7, მარეგისტრირებელი ორგანო სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო) თაობაზე გაცემული ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან: განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B22009155, 03/02/2022 13:01:28. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავადგინე ზურაბ საბანაძის ნების გამოვლენის ნამდვილობა რის შემდეგ შევადგინე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე ზურაბ საბანაძეს განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან თავადაც წაიკითხა მინდობილობა და განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, **ზურაბ საბანაძე** (პირადი#01008045612) როგორც შპს „პრემიუმ ქონსთრაქშენ დეველოპმენტ“-ის (ს/კ405505608) დირექტორი ვენდობი **პაატა ნუცუბიძეს** (24.10.1970წ. წყალტუბოში. რეგ. ქალაქი თბილისი, თინა იოსებიძის ქუჩა, N 61ა, ბინა 5. პირადი#01005013245რათა მან საკუთარი შეხედულებისამებრ შპს „ქონსთრაქშენ დეველოპმენტ“-ის (ს/კ405505608) სახელით საკუთარი შეხედულებისამებრ, აწარმოოს უძრავი ქონებაზე მდებარე მისამართზე ქალაქი თბილისი, ცაცხვების VII შესახვევი, N10 (საკ.კოდი **01.10.18.009.010)** მშენებლობის ნებართვის მიღებასთან დაკავშირებული პროცედურები, აიღოს მშენებლობის ნებართვა, საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს მათში ცვლილება, გადაიხადოს მოსაკრებელი, აწარმოოს: აზომმვითი ნახაზებისა და საპროექტო დოკუმენტების შედგენა/მომზადება, მშენებლობასთან/სარემონტო სამუშაოებთან/კომუნალურ სამუშაოებთან, ობიექტის მიღება-ჩაბარებასთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელება. ამ მიზნით წარმომადგინოს ადგილობრივი თვითმმართველობისა მმართველობის ორგანოებში (მათ შორის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და მერიის ყველა სამსახურში (მათ შორის არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და და ურბანული დაგეგმარების სამსახურებში), საკრებულოში, რაიონულ გამგეობებსა და საკრებულოებში, რათა უზრუნველყოს ნებისმიერი დოკუმენტის /განცხადების წარდგენა/ატვირთვა (მათ შორის ელექტრონულად), წარადგინოს და ხელზე მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტაცია, ხელი მოაწეროს საჭირო დოკუმენტაციას და შეასრულოს ამ დავალებასთან დაკავშირებული ყველა მოქმედება.

მინდობილობა გაცემულია 2(ორი) წლის ვადით და ძალაშია 2024(ორიათასოცდაოთხი) წლის 26 (ოცდაექვსი) ოქტომბრის ჩათვლით.

მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ორი გადაეცა მხარეს, ხოლო ერთი ინახება ნოტარიუს ლალი გზირიშვილის სანოტარო არქივში, და თან ერთვის დანართ 1 (ერთი) დოკუმენტი: შპს „ქონსთრაქშენ დეველოპმენტ“-ის (ს/კ405505608) სახელზე გაცემული ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან: განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B22009155, 03/02/2022 13:01:28.

ხოლო შპს „პრემიუმ ქონსთრაქშენ დეველოპმენტ“-ის (ს/კ405505608) შეთანხმებისა (დამოწმებული 29/10/2018წ. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერგადამოწმებულია საჯარო რეესტრის ელექტრონულ რეესტრში ხელმისაწვდომი დოკუმენტის დასკანირებული ვერსიიდან.

გადახდილია სახელმწიფო ბაჟი: თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფო ბაჟის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების“ შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31-ე მუხლისა 30 (ოცდაათი) ლარი, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა დ.ღ.გ 18% 5 (ხუთი)ლარი და 40(ორმოცი)თეთრი, საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნული დადგენილების 39-ე მუხლის პირველი პუნქტისა 5(ხუთი) ლარი, სულ 40(ორმოცი)ლარი და 40(ორმოცი)თეთრი.

მიმნდობი პირი: ზურაბ საბანაძე

ნოტარიუსი: / ლალი გზირიშვილი /

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

70759712387722

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N221462221

რეგისტრაციის თარიღი

26.10.2022 წ

ნოტარიუსი: ლალი გზირიშვილი
მისამართი: თბილისი, პეკინის გამზირი 23. ბინა 47
ტელეფონი: 236 99 99

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18